გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია" თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

**თავ. ალექსანდრე დიმიტრის ძე აბხაზი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას თავის შვილის **ირაკლისას** და სთხოვს მობრძანდნენ სოლოლაკში რტიშჩევისა და ნაგორნის ქუჩაზე № 15, სვეჩნიკოვის სახლში, საიდგანაც გაასვენებენ მიცვალებულს ამაღლების ეკკლესიაში, პარასკევს, 21 ამ თთვისას, დილის ათს საათზე. პანაშვიდი გადახდილი იქმნება დღეს, დილის 12 საათსა და საღამოს შვიდს საათზე.

**თავ. მელქისედეკ გიორგის ძე ნაკაშიძე** და **ივანე ბეჟიტაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო მეორე ასულისა თვისისას **კნეინა მართა ივანეს ასულის ნაკაშიძისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ გონჩარნის ქუჩაზე, სახლი № 32, საიდგანაც გაასვენებენ მიცვალებულს წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში პარასკევს, 21 თებერვალს, დილის 9 საათზე.

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა

ამით აუწყებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ ამ წლის 22 მარტს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადოების კრება ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

ა) 1891 წლის ანგარიში.

ბ) ამოირჩიოს: ერთი ახალი დირექტორი სამის წლის ვადით,

3) საბჭოს ორი დეპუტატი და

4) სარევიზიო კომისიის სამი წევრი და სამიც ამათივე კანდიდატი.

5) დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც სხვისაგანა აქვთ ნარწმუნები კენჭი, § 36 ძალით რწმუნების წერილები სამის დღის წინად წარუდგინონ მმართველობას ე. ი. არა უგვიანეს ამ წლის 19 მარტისა.

(3—1)

## ახალი ამბავი

*** 17 თებერვალს ტფილისის მკურნალთა კრებაზედ პროფესორმა მინხმა წაიკითხა მოხსენება: „კეთროვანება კავკასიაში". კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. შემდეგ კრებამ აირჩია ცალკე კომისია და მიანდო მას ამ საზოგადოების ჟურნალში დაბეჭდილ წერილების განხილვა და მისაჯვა 100 მ. პრემიისა უკეთესის წერილის ავტორისთვის. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ლუნკევიჩი, გოლბეკი, სახაროვი, მინკევიჩი და გეიდემანი.

*** ჩვენ მივიღეთ ხუნზახიდგან 13 მანათი—სამი მანათი ელენე პაპიევისაგან და ერთი თუმანიც პატარა დაძმათაგან შეწირული 6 იანვარს მომხდარ უბედურების გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ფული გარდაეცა განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც საგანგებოდ ამ საქმისათვის არის დანიშნული ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

*** დამშეულთა ლოტარიის კომიტეტმა გამოაცხადა, რომ პირველის ლოტარიის ბილეთებს და კუპონებს, რომელსაც მოგება არა ჰხვდა, აღარაფერი ფასი და მნიშვნელობა არა აქვსო. მეორე ლოტარიის ბილეთები ღია-მიხაკის ფერს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი. ბილეთების ყველა კუპონს ზემო კუთხეში უზის „2" და არწივის ზემოდ დაწერილია „ВТОРОЙ ВЫПУСКЪ".

*** სოფ. პატარძეული (ტფილისის მაზრა): ამ ახლო ხანებში აღმოჩნდა ჩვენის სოფლის ფული 500 მანათზე მეტი გაფლანგული. ამორჩეულმა კაცებმა გადასწყვიტეს, რომ სოფელმა გადაახდევინოს ეს ფული იმათ, ვისაც მისი გაფლანგვა დაჰბრალდათ. სოფელმავე მიაქცია ყურადღება ღვინისა დ სხვა სასმელების გამყიდველებს, რომელთაც დაუწესეს წესიერი საწყაო და საზომი.

გლეხი ზუკაკიშვილი, რომელიც ამას წინად კლდეს სტეხდა და კლდეს ქვეშ მოჰყვა, ამოიღეს, მაგრამ ვაი იმ ამოღებას: საშინელი სანახავი იყო! მთელი სხეული სულ დამტვრეული ჰქონდა და აღარც სახე ემჩნეოდა. უბედურს დარჩა მოხუცი დედა, ცოლი და ორი პატარა ვაჟიშვილი.

*** აბჟუა ანუ სოხუმის ოლქის კოდორის განყოფილება:

ამ ნაკიანის წლის იანვრის თთვემ ჩვენშიაც უხიფათოდ არ გაიარა. წვიმები იყო, წყლებმა მოიმატეს. მოქვის წყალმა ერთი გლეხი დაარჩო. მდ. თუმუშიაც, როგორც ამბობენ, ერთი დედაკაცი დამრჩვალა ამავე იანვარს. ს. ფოქვეში ერთი ქალიც ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა... თებერვალმა ქარი (ეგ ძვირი და არაჩვეულებრივი სტუმარი ამ მხარეში) შემოგვძლნა, რომელმაც ჩალითა და გვიმრით დახურულ აფხაზების ფაცხებს დიდი ზარალი მისცა.

*** იქიდამვე: ერთად-ერთი ავლადიდება აფხაზებისა სიმინდი იყო. იმას დღეს გასავალი აღარა აქვს. ხალხი მეტად შეწუხებულია და შევიწროებული. თუ ამაზე მეტი ფასი არ ექმნა, სარჩოზე მეტს ნურავინ ნუ დავთესთო, ამბობენ აფხაზები.

ქურდობა, რომლისაგანაც ცოტად თუ ბევრად მოსვენებული ვიყავით ამ რამდენსამე თთვეს, ბოლოს დროს ისევ ხშირდება. ამასა და სიმინდის კრიზისს, ანუ უფულენციას, ზედ დაერთო ინფლუენცაც. ამ სამს უბედურებას მეოთხეც ზედ დაემატა. ეს უბედურება გახლავთ უგზოობა. არა თუ კავკასიაში, დედამიწის ზურგზე ძვირად უნდა მოიძებნოს ისეთი მხარე, რომელიც ისე იყოს მოკლებული გზებს, როგორც ჩვენი აბჟუაა და საზოგადოდ მთელი სოხუმის ოლქი...

სწორედ დროზე მოესწრო აქაურობას მთავრობის განკარგულება, რომ გზა გაკეთდეს სოხუმიდამ ნოვოროსიისკამდე დამშეულთა დახმარებით. არ იქნება ურიგო, რომ მთავრობამ გააკეთებინოს იმათვე გზები საზოგადოდ აფხაზეთშიაც.

*** ოდესიდგან დეპეშით სწერენ გაზეთს „Кавказъ"-ს: სახადი თანდათან ვრცელდება. ბუგსა, დნეპრსა და დუნაიზე ნავოსნობა დაიწყო. სანოვაგესაც ეზიდებიან და 15,000 მუშა კაციც მიჰყავთ სოხუმსა და ნოვოროსიისკს შუა გზა-ტკეცილის გასაყვანად.

*** 17 თებერვალს ქალაქის ხურო-მოძღვარმა ბ-მა მელიქ-ბეგლიაროვმა და ტფილისის მე-10 განყოფილების ბოქაულმა დაათვალიერეს საქალაქო ადგილები რკინის გზის ლიანდაგის გაღმა და აღმოაჩინეს, რომ 16 სახლობას ქალაქის დაუკითხავად ხის შენობები აუგია და დასახლებულა. დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს. („Нов. Обоз.")

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ „ტფილისის არტისტო საზოგადოების" მიერ ამ დიდ მარხვას ორი ოპერა იქნება წარმოდგენილი: „ფრა-დიავოლო" ობერისა დ „Каменный Гость" დარგომიჟსკისა. ეს მეორე ოპერა ტფილისში ჯერ არა ყოფილა წარმოდგენილი.

*** ამ უკანასკნელს დროს იმდენი დამშეული ჩამოვიდა ტფილისში რუსეთიდგან, რომ თავშესაფარში ტევა აღარ არის. ამის გამო პოლიცმეისტერს რიყეზედ ტერ-იონისიანნაშე, ...

## ფელეტონი

### მოხსენება თავად-აზნაურთა კახეთის რკინის გზის შესახებ

„ქართველი თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა დიდი ხანია გრძნობდა უხერხულობას იმისას, რომ უფრო წარმატებული მაზრები ხსენებულ გუბერნიისა რკინის გზით არ არის შეერთებული თავისს საადმინისტრაციო და სავაჭრო-საეკონომიო დედა ქალაქს ტფილისთან. კახეთის რკინის გზის შესახებ სჯა 1885 წელს შემდეგ ეს მესამედაა აღძრული თავად-აზნაურთა მორიგს კრებაზედ. მაგრამ რადგანაც ჩვენში განსაკუთრებული მთავრობის ორგანო არ არის, რომელიც განაგებდეს საზოგადოდ რკინის გზების საქმეს, ამიტომ თავად-აზნაურობას თითონვე უნდა ეზრუნა თავისის ძალ-ღონით და ხელი შეეწყო ამ საქმის განხორციელებისათვის.

საქმის ასეთის ვითარებისა და აგრეთვე ტფილისის გუბერნატორის ქაღალდისა გამო 1889 წლის თარილით № 3910, რომელშიაც მოხსენებულია, სხვათა შორის, რომ „კარგია მთავარ-მართებელს მიემართოს დაწვრილებითის, დასაბუთებულის თხოვნით და შესაფერი ცნობანი და მოსაზრებანიც წარედგინოს"-ო, ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგი კრება 21 მაისს 1891 წ. კვლავ უბრუნდება კახეთს რკინის გზის საქმეს და სხვა მიმართულებას აძლევს. ამ კრებაზე წაკითხულ იქმნა სხვათა შორის ბელგიის საზოგადოების რწმუნებულის ქაღალდი, რომელშიაც მოხსენებული იყო, უცხოელს კაპიტალისტებს ჰსურთ თავიანთის ხარჯით გაიყვანონ რკინის გზა კახეთში მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ თავად-აზნაურობამ კანონიერად გამოითხოვოს ამისი ნება-რთვა მთავრობისაგანაო.

მიიღო რა მხედველობაში ეს წინადადება და ჰსურს რა უფრო, რომ თვით ხაზინამ იკისროს კახეთის რკინის გზის გაკეთება, თავად-აზნაურობამ ტფილისის გუბერნიისამ დაადგინა შემდეგი: მიენდოს ამ საგნის ყოველ-მხრივი წვლილება ცალკე განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს მაზრის წინამძღოლთაგან, თავად-აზნაურთა დეპუტატთაგან და ინჟენერთაგან იმ პირობით, რომ მათ ნება ჰქონდეთ, ვინიცობაა საჭირო შეიქმნეს, მიიწვიონ ხოლმე მცოდნე კაცნი სხვა-და-სხვა საგნის გადასაწყვეტად.

ამ ვითარებაში იყო საქმე, როდესაც 1891 წელს, ენკენისთვეში, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შეიტყო, რომ ტფილისში იმყოფებოდა გზათა სამინისტროს სახელმწიფო რკინის გზების დროებითსა მმართველოს საკომერციო აგენტი V ნაწილისა, ბ-ნი ა. ა. რადციგი, რომელსაც ხსენებულსა მმართველოს მიერ მინდობილი ჰქონდა კომერციულის მხრით გამოკვლევა ამიერ კავკასიაში განზრახულის ყოველის რკინის გზისა. ამიტომ გუბერნიის წინამძღოლმა თავი დაანება ბელგიის საზოგადოებასთან მოლაპარაკებას და მიჰმართა ბ-ნს რადციგს წინადადებით—მონაწილეობა მიიღეთ თავად-აზნაურთა კომისიაში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კახეთის რკინის გზის გასაყვანი ადგილებიო.

ამას შემდეგ თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეთაურობით და ბ-ნ რადციგის მონაწილეობით კომისია წარსულის წლის ნოემბერში გაემგზავრა განზრახულის კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად ადგილობრივ.

აღნიშნა რა წინადვე განზრახულის გზის უფრო სათანადო მიმართულება როგორც სატეხნიკო, აგრეთვე საკომერციო მხრით, კომისიამ განვლო გზა ტფილისიდგან თელავამდე სართიჭალის ნაწილსა, ბაკურციხის ხეობასა და ბაკურციხეზე. გზა-გზა შეჰკრიბა ყოველგვარი საჭირო ცნობანი და აგრეთვე სიტყვიერი და წერილობითი განცხადებანი მახლობელ ადგილების მცხოვრებთაგან. 18 ნოემბერს მიიწვია მცოდნე კაცები, ინჟენერები და ქალაქს თელავში კრება გამართა თავის აზრის დასასკვნად.

ამ კრების ოქმში სხვათა შორის მოხსენებულია: „შეკრიბა-რა ადგილობრივ ყოველგვარი ცნობანი შესახებ კახეთის წარმოებისა, გადასაზიდ-გადმოსაზიდის საქონლის რაოდენობისა, იმის ფასისა და სხვ. და მიიღო რა მხედველობაში, რომ სატეხნიკო მხარე ამ საქმისა ძნელი არა არის-რა, კომისიამ დაადგინა: „ვიდრე შეიწყნარებდეს ბელგიის საზოგადოების წინადადებას და ნებას ითხოვდეს მთავრობისაგან ხსენებულ მიმართულებით კახეთში გზის გაყვანისას მთავრობის დაუხმარებლად, ჯერ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ხსენებული გზა გაკეთდეს სახელმწიფო ხარჯით მოხსენებისამებრ საკომერციო აგენტის ბ-ნის ა. ა. რადციგისა, რადგანაც, როგორც ადგილობრივ შეკრებილ ცნობათაგან სჩანს, ხსენებული გზა თუ აღნიშნულის მიმართულებით გაკეთდა, ზედ დახარჯულს ფულსაც აღადგენს სარგებლიანად და საქმის საწარმოებელს ხარჯსაც დაჰფარავს".

თანახმად კომისიის ამ გვარის დადგენილობისა 1891 წ. 18 ნოემბრის თარიღით, ჩვენ შუამდგომლობის დაწყება მთავრობის წინაშე გადავდეთ იმ დრომდე, ვიდრე საკომერციო აგენტი ბ-ნი რადციგი წარმოგვიდგენდა თავისს გამოკვლევას განზრახულის კახეთის რკინის გზისას. 15 იანვარს 1892 წ. ბ-ნმა რადციგმა წარმოგვიდგინა ეს გამოკვლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი რადციგი მეტად არა-სასარგებლოდა სთვლის გზის შემოსავალს, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია წარმოგიდგინოთ ამ გამოკვლევასთან ერთად ჩვენი დასაბუთებული შუამდგომლობაც, შევსებული შემდეგის მოსაზრებითაც:

ცის სახლში 6 ოთახი დაუქირავებია და მეორე თავშესაფარი გაუმართავს.

*** „თერგის კალენდარის“ კრებულში სხვათა შორის შემდეგი საყურადღებო წერილებია დაბეჭდილი სათაურებით: „ოსები, სასტატისტიკო და ამ საისტორიო განხილვა“, ე. მაქსიმოვისა; „ყაბარდოელნი“, მისივე; „ოსების ზღაპრები და რწმუნებანი“, კანუკოვისა.

*** ამას წინად კუფმანს რომ მომგებიანი ბილეთი მოჰპარეს, ეს ბილეთი მიუტანია ფრიდონოვის კანტორაში ცხინვალის მცხოვრებელს ესტატე ბროძელს, რომელიც შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** 18 ამ თვისას კავკავის მცხოვრებელს ჩერნიშევს დიდუბეში ცხენი გაუცოფდა. ცხენმა სხვა ორი ცხენიც დაჰკბინა. ცოფიანი ცხენი მოჰკლეს და ბეითალთან გაგზანეს.

---

## დამაკვირდი!

უკეთესი ნაწილი ვაჟ-კაცობისა სიფთხილეა.

შექსპირი

**

დღევანდელი დღე შეგირდია გუშინდელისა.

სირიუსი

**

უქმობა უფრო მალე ჰკლავს ადამიანს, ვიდრე გარჯა.

ვოვენარგი

**

რომელი ბატონობაა ყველაზე უკეთესი?

იგი, რომელიც გვასწავლის საკუთარს ფეხზე დგომასა.

გეტე

**

კაცმა, რომელმაც თავის თავის იმედი დაჰკარგა, აუცილებელია ბოლოს თავისი ღონეც არ დაჰკარგოს.

გეტე

---

## უწმიდესის სინოდის განკარგულება

მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის შუამდგომელობის თანახმად, სასულიერო უწყების სასარგებლოდ სამსახურისა და გულმოდგინეობისათვის უწმინდესის სინოდის ლოცვა-კურთხევა გამოეცხადათ და დაწესებული სიგელებიც ებოძათ შემდეგთ:

1) გენერალ-მაიორს, თავადს მიხეილ ქაიხოსროს ძეს ამირაჯიბს.

2) ქვრივს კნეინა მართა დავითის ასულს ერისთავისას.

3) კოლლეჟსკი სოვეტნიკს, აზნაურს დურმიშხან შალვას ძეს ჟურულს.

4) კოლლეჟსკი სოვეტნიკს, აზნაურს სვიმონ ლუარსაბის ძეს მეღვინეთ-ხუცესიშვილს.

5) კოლლეჟსკი ასსესორს ლუკა ტროფიმეს ძეს პოგრებნოის.

6) სააქციზო ზედამხედველის თანაშემწეს ალექსანდრე ივანეს ძეს ცვეტკოვს.

7) მე-2 გილდის ვაჭარს, ბერძენს ნიკოლოზ იანხუშტოვს.

8) თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მრევლს, ქვრივს სოფიო სულიაშვილს.

9) ყარსის ოლქის სირბოსანის წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს, გლეხს კონსტანტინე პანაეტოვს.

10) თერგის ოლქის სოფელ პროხლადნოის ყაზახს იაკობ გო..ოვკოს.

11) თერგის ოლქის სოფელ ჟელეზნოვოდსკის გლეხს ვასილ ეფიმოვს.

---

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის შუამდგომელობის თანახმად, სოხუმის ეპარქიის მღვდლის ქვრივს მარიამ ჯინჯიხაძეს სინოდის ფულიდგან ერთ-ხნობით შესაწევრად დაენიშნა 70 მან.

---

მწყემს-მთავრული მადლობა და ლოცვა-კურთხევა უფლისა გამოეცხადა ახალციხის მაზრის სოფ. ბარალეთის წმ. მაცხოვრის ეკკლესიის მრევლს ამ ეკკლესიის გარშემო ქვითკირის გალავანს შემოვლებისათვის.

---

## † ამბროსი დავითის ძე ხელაშვილი

(ნეკროლოგი)

შაბათს, 8 თებერვალს „ინფლუენცით“, ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, ამბროსი დავითის ძე ხელაშვილი, დაბადებიდამ 39 წლისა. განსვენებულს არა მცირედი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე, როგორც მხნე მასწავლებელს და აღმზრდელს ყმაწვილებისას 14 წლის განმავლობაში. განსვენებულს მწერლობაშიც წილი ედო და იღებდა მონაწილეობას ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ამ ბოლოს დროს გაზ. „ახ. მიმოხ.“ დაიბეჭდა იმისი საყურადღებო წერილი შესახებ „ათონის ბერმონასტერთა და იმათის მამულებისა საქართველოში“.

განსვენებულის მამა ერთი წვრილშვილი და მეტად ღარიბი მღვდელი იყო ქიზიყში. სიღარიბის გამო სასწავლებელში შვილის მიცემას ვერა ჰბედავდა. ბოლოს, როცა 9 წლისა გაუხდა ამბროსი, შემწეობა სთხოვა ზოგი ვისა და ზოგი ვის და მისცა თუქურმიშის ოთხ-კლასიანს სამხედრო სასწავლებელში, სადაც იზრდებოდნენ მხოლოდ თავად-აზნაურთა და მოხელეთა შვილები. ნიჭიერმა ყმაწვილმა თავისის ბეჯითობითა და სინიდისიერის ქცევით დიდი ყურადღება მიიქცია სასწავლებლის ზედამხედველისა და მასწავლებელთა. შემდეგ იქ სწავლის დამთავრებისა განსვენებულმა მოიწადინა შესულიყო გიმნაზიაში, მაგრამ აქაც ხელი შეუშალა მამის სიღარიბემა და წვრილშვილობამ. ბოლოს მაინც მოემზადა ტფილისის სემინარიის პირველს კლასში შესასვლელად. არც აქ უღალატა თავისმა ნიჭმა და მეცადინეობამ: მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი და საეკკლესიო ხარჯზედაც მიიღეს. სასულიერო სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს სასულიერო აკადემიაში შესასვლელად და კიდევაც დაამთავრა სწავლა აკადემიაში 1877 წ. საუკეთესო სტუდენტად.

სწავლის შესრულების შემდეგ, დანიშნულ იქმნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. აქ განსვენებულმა დიდი ყურადღება მიაქცია მოსწავლეთა სწავლა-განვითარებასა და აღზრდას. ამ ხანებში გარდაეცვალა მამა და დააწვა სარჩენად დიდი ოჯახი. თავადაც მალე გაუტყდა ჯანი ათასის უსიამოვნობის გამო სამსახურში და იძულებული შეიქმნა გადმოსულიყო თელავში აქაურ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად.

განსვენებულმა ამბროსიმ თავის კარგის კაცობითა და მტკიცე ხასიათით აქ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რაიცა აქაურმა საზოგადოებამ თვით დასაფლავების დღეს დაუმტკიცა. ორშაბათს, 10 თებერვალს, დილის 9 საათზე, მოგროვდა დიდ-ძალი ხალხი განსვენებულის სახლში, რათა უკანასკნელად პატივი ეცა იმისთვის. განსვენებულის კუბო შემკეს გვირგვინებით; შეგირდების გვირგვინზედ ეწერა: „ჩვენს საყვარელს და დაუვიწყარს მასწავლებელს-მამას“; ამბროსის ამხანაგებისაზე: „არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“; თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა გვირგვინზე ეწერა: „ძვირფასს ამხანაგს“ და სხ. 10 საათზე გამოასვენეს გვამი განსვენებულისა; კუბოს წინ მიუძღოდა ორი გუნდი მგალობელ-მოწაფეებისა სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელთა; შემდეგ შეგირდობა და თელავის სამოქალაქო სკოლის მუსიკის დამკვრელ მოწაფეთა გუნდი. სასულიერო სასწავლებლის საყდარში, მანამ წირვას შეუდგებოდნენ, ხსენებულ სასწავლებლის მღვდელმა, მამა იოანნე ნარეკლიევმა, წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. შემდეგ წირვისა დ პანაშვიდის გადახდისა, წარმოსთქვეს სიტყვა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა: ალექსანდრე ბარნოვმა, იოსებ მონადირიშვილმა და ვასილ ბარნოვმა.

ბ-ნმა ვასილ ბარნოვმა სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი:

„...ადამიანის სულის არსებითი თვისება არის, ერთის მხრით, სურვილი ჭეშმარიტებისა, ძებნა სიმართლისა... აქ ის ჰბაძავს შემოქმედს, რომელიც არის თვით ჭეშმარიტება, თვით სიმართლე...

„ამის გამო, ადამიანი თავის სიცოცხლეში დაულაგავი მეძიებულია ცოდნისა და მეცნიერებისა: ის ცდილობს, იპოვოს ქვეყანაზედ ჭეშმარიტება, მოჰფინოს იმის ნათელი, რომ აქვე იგემოს სიახლე სამარადისო ნათელისა.—რამდენადაც ადამიანის გონება განვითარებულია, იმდენად უფრო ღირსია ის საუკუნო ბრწყინვალებისა, იმდენად უფრო დაახლოვებულია იმასთან. ამისათვის ადამიანის მეცადინეობა, რომ შეითვისოს სწავლა და გაავრცელოს ის—არის ერთი საზომი იმის ღირსებისა.

„ამ მხრივ აწ განსვენებულის ჩვენი მოძმისა და მეგობარის, ამბროსი დავითის-ძის სახელი დიად ღირსია კეთილ-ხსენებისა; ის მუშაკი იყო ცოდნისა, ის სულითა და გულით სცდილობდა სწავლა-განათლების გავრცელებას...

„სულის არსებითი თვისება, გარდაამისა, არის სიყვარული და აქაც ის ჰბაძავს შემოქმედს, რომელიც არის თვით სიყვარული.—ადამიანი თავისს სიცოცხლეში ზრდის გულში და ავრცელებს თავის გარემო უმანკო სიყვარულს და სათნოებას, როგორც ძვირფასს რასამე ნელსაცხებელს სურნელებს. რამდენადაც ჩვენი გული განვითარებულია სიყვარულში, არამც თუ მარტო მახლობელთადმი, არამედ ყველა ღვთის ქმნილებათადმიც, იმდენად ის ღირსია მიუწდომელის სიყვარულისა, რომელიც არის თვით შემოქმედი, იმდენად ის დაახლოვებულია იმასთან. ამისთვის სიყვარული და სათნოება არის მეორე საზომი კაცის ღირსებისა.

„ამ მხრივაც აწ განსვენებული ძმა ჩვენი ამბროსი დიდადაც ღირსია კეთილ ხსენებისა.

„შეხედეთ ამ მწარედ დაღონებულსა და თვალცრემლიანს ყმაწვილებს. ესენი განსვენებულის მოწაფენი არიან. მაგათი უმანკო ცრემლი ჰმოწმობს, რა კეთილი აღმზრდელი და მამა დაუკარგავთ მაგათ ესე მოულოდნელად, ესე უდროვოდ. განა ჩვენ ყველას მწუხარება განსვენებულის სიკეთეს არა ჰმოწმობს?!.

„ახლა წარმოიდგინეთ, რა დიდი, რა უზომო უბედურება და ვაება განსვენებულის მახლობელთათვის ეს დანაკარგი. აი დამწვარი დედა მიცვალებულისა, რომელიც ღრმა დარდს მისცემია. ტირილი გმართებს შენ, უბედურო დედავ განსვენებულისავ: შვილი-კი არა, თვალის სინათლე დაჰკარგე... გმართებს გოდება და ტირილი შენც, საცოდავო მეუღლევ მიცვალებულისავ: დაუნდობელმა სიკვდილმა სამუდამოდ ბნელით შემოსა შენი გული, აღელვებულს წყალს მისცა შენი წვრილი ობლები.

---

მიგვაჩნია რა სრულ ყურადღების ღირსად ის სიფრთხილე, რომლითაც ბ-ნი რადციგი ხელმძღვანელობს განზრახულის გზის შემოსავლის რაოდენობის გამოანგარიშების დროს, ჩვენ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ გადაჭარბებულმა სიფრთხილემ მხედველობაში არ მიაღებინა მას ზოგი მხარე ხსენებულის გზის შემოსავლისა და აგრეთვე მრავალი სხვა გარემოებაც, რასაც დიდი და უმთავრესი საზოგადოებური, საეკონომიო და არსებითი მნიშვნელობა აქვს კახეთის მომავალისა და ქალაქ ტფილისისათვისაც, რომელიც დედა ქალაქია ჩვენის ქვეყნისა.

სარგებლობისა გამო არა მარტო თავად-აზნაურობისა, არამედ კახეთის ყველა წოდებისა და მთელის ჩვენის ქვეყნისაც არ შეიძლება კახეთის რკინის გზის საქმე განხილულ იქმნას მხოლოდ საკომერციო მხრით ე. ი. იმ მხრით, თუ რა შემოსავალს მოიტანს ხსენებული გზა, როგორც ერთი რამ საალებ-მიცემო საგანი. უფრორე საჭირო გამოირკვეს, თუ რა ძლიერ უჭირს მთელს ჩვენს ქვეყანას იაფი მისვლა-მოსვლა და გადატან-გადმოტანა საქონლისა. სიუ კერძო საზოგადოებისათვისა და შეიძლება თვით ხაზინისათვისაც რამდენადმე სავალდებულოა საქმის მხოლოდ იმ მხრივ სინჯვა და იმით ზომა, თუ რა შემოსავალსა და მოგებას მოგვცემსო, სამაგიეროდ იმ ქვეყნისათვის, სადაც რკინის გზა უნდა გაყვანილ იქმნას, მნიშვნელობა ამ გზისა უფრო ვრცელია.

ყველასთვის ცნობილთა ის საეკონომიო უაზრობა, რომ ბევრჯელ ერთგვარად წარმატებულისა და ერთგვარად მდიდარის ქვეყნის მცხოვრებნი ერთგვარად ვერა კეთილდღეობენ, თუმცა-კი შრომას ერთსა და იგივესა სწევენ. უფრო უარესიც მოხდება ხოლმე. ზოგჯერ უფრო ნაკლებად მდიდარის ქვეყნის ხალხი უკეთესს დღეშია, ვიდრე მასთან შედარებით გაცილებით მდიდარის ქვეყნის მცხოვრებნი. ეს ამბავი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ერთი ამ ორ მხარეთაგანი უფრო ახლოა ბაზარზე და იაფად უჯდება საქონლის გატანა ბაზარში. რკინის გზას, კითხვა არ უნდა, არც ერთი სხვა გვარი გზა არ შეედრება, მეტოქობას ვერ გაუწევს და ამიტომაც შედარებითი უკეთესი კეთილდღეობაც ამა თუ იმ ქვეყნისა დამოკიდებულია შემდეგზე: რომელი მათგანი უფრო ახლო და მარჯვედ არის რკინის გზებზედ.

ვიდრე ამიერ კავკასიაში პირველად რკინს გზა გაკეთდებოდა კახეთი და სხვა ადგილები აქ ქვეყნისა ერთგვარს გარემოებაში იმყოფებოდა. ამიტომ კახეთი რიგიანად უწევდა მეტოქობას თავისის ნაწარმოებით სხვა ადგილებს ამიერ კავკასიისას ტფილისის ბაზარში. ხოლო რკინის გზის გაყვანის შემდეგ ამიერ კავკასიაში დიდი ნაწილი ტფილისის მაზრისა (სართიჭალის მხარე), მთელი სიღნაღის მაზრა, თელავისა, თიონეთისა და ზაქათალის ოლქი ე. ი. მთელი ის კუთხე, რომელიც მასაზრდოებელი იყო არა მარტო ტფილისისა, არამედ მთელის ისტორიულის საქართველოსიცა, მოშორებული დარჩა რკინის გზასა. ამის გამო კახეთი ცუდს გარემოებაში ჩავარდა. ის ადგილები, რომელიც წინად უფრო დაშორებული იყო ტფილისსა, ვიდრე კახეთი, ეხლა, კახეთთან შედარებით, ძლიერ დაუახლოვდა ტფილისსა რკინის გზის წყალობით. კახეთს ველარ შეუძლიან სხვასავით ადვილად მიიტანოს თავისი ნაწარმოები ტფილისის ბაზარში და გაყიდოს. ამასთანავე სოფლის ნაწარმოების ზიდვა ტფილისში გაძლიერდა და მისმა ფასმაც დაიწია. ჩამოვარდა ამ გვარად მეტოქობა რკინის გზასა და კახურს ურემს შორის; ხოლო რა შედეგიც უნდა მოჰყვეს ამ გვარს ბრძოლასა და მეტოქობას, ეს ყველასათვის ადვილი მისახვედრია. ჯერ ეხლაც კახეთი ძლიერ იშვიათად ჰგზავნის თავისს ნაწარმოებს ტფილისის ბაზარში და იმასაც უფრო ფასიანს ნაწარმოებს. ამის გამო იძულებული ხდება კახეთი, თანდათან შეამციროს თავისი წარმოებაც. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და აი რათა: ტფილისზე უფრო დაახლოვებული ნაწილიც რომ ავიღოთ კახეთისა, მაგალითად, სართიჭალის მხარე, იქიდგან 60 ფუთის წაღება ურმით 7—8 მანათი ჯდება ე. ი. $^1/_4$ კ. ფუთიდან ვერსზე, ხოლო რკინის გზით წაღება საქონლისა სხვა ადგილებიდგან $^1/_{30}$ კ. ჯდება ფუთიდგან ვერსზე. მაგრამ მიუხედავად ამ ცუდის გარემოებისა, კახეთი მაინც მეტოქეობას თავს არ ანებებს და ტფილისის ბაზრისკენ მიიბრძვის; მაგალითად, სართიჭალის მხარე და იმის მახლობლად მდებარე ნაწილი სიღნაღის მაზრისა ტფილისში ჰგზავნის $^1/_2$ მილიონს ფუთს პურსა წელიწადში, როგორც ბ-ნ რადციგის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს. მაგრამ უფრო ნაზი, ადვილად წასახდენი, ნაწარმოები, მაგალითად, მწვანილი და ხილი, განსაკუთრებით, ძველადვე ნაქები ივრის ხეობის ნესვი, უკვე განიდევნა ტფილისის ბაზრიდგან და წარმოებაც შემცირდა. ქუთაისისა და განჯის ნაწარმოებმა დაიპყრო ხილის ბაზარი ტფილისისა და ამ სახით ას ვერსობით დაშორებულმა ადგილებმა მხოლოდ 30—40 ვერსით დაშორებულს ადგილებსაც-კი გამოაცალა ხელიდგან ბაზარი. მაინც-კი ხანდახან, როცა ფული ძლიერ უჭირთ, მრავალი დატვირთული ურემი მოდის კახეთიდგან ტფილისში, თუმცა ბევრჯელ ჩამოტანილს საქონელს იმაზე ნაკლებ ფასადაც-კი ჰყიდიან, რაც წაღება ჰღირს; მაგალითად, გაღმა-მხრიდან ტფილისში ჩამოტანილი ურემი მსხალი იყიდება 6—8 მანათი, ხოლო ჩამოტანა ჰღირს 8—10 მან. კითხვა არ უნდა, ამას ისინი სჩადიან, ვისაც თავისი საქონელი ჰყავს და საკუთარი ურები გააჩნია.“

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სატირალი აქვს მოზარდს თაობასაც: კარგი მასწავლებელი და მამა დაჰკარგეს მაგათ...—სამწუხარო გვაქვს ჩვენც: ამხანაგი და განვითარებული მეგობარი წაგვართვა სიკვდილმა.—სამწუხარო აქვს მთლად ჩვენს სამშობლოსაც: ჯერ ცოტა ჰყავს იმას განსვენებულისთანა განვითარებული მამულიშვილი“.

ლ. ხ.

12 თებერვ.
ქ. თელავი

# რუსეთი

ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა დაიწყო მთავრობის წინაშე, სოფლის საზოგადოებათ დაეკისროთ, რომ სამუდამოდ იქონიონ საზოგადო ნახნავები, რომელმაც უნდა გადაუხადოს გლეხებს შეწერილი ხარჯიო. ამ საქმის დასაწყებად ერობა ურჩევს მთავრობას, რაკი ეხლა გლეხობა დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მოდით და ასეთი პირობა დავუდოთო: თუ გინდათ რომ მთავრობამ ამ წელს სათესლე მოგცეთ ნაოშებისთვის, ყრილობა მოახდინეთ და შესაფერი განაჩენი დაადგინეთ საზოგადო ნახნავების შესახებიო.

ერობა თავისს ქაღალდში შემდეგს პირობას იხსენიებს, რომელიც უნდა დაცულ იქმნას საზოგადო ნახნავების შემოღების დროს სოფლის საზოგადოებაში: ა) მიწა საზოგადო სახნავებისთვის სოფლის ახლო უნდა იყოს და კარგი მიწაც უნდა იყოს; ბ) მიწა ნაანგარიშევი უნდა იყოს სულზე 150 ოთხ-კუთხი საჟენი; გ) მიწა უნდა შეიმუშაონ ან ბეგრით და ან ვისმე საიმედო კაცს უნდა ჩააბარონ სანახევროდ იქნება, თუ მოსავლის იმაზე მეტ-ნაკლების წილის დათმობით. ამასთანავე მიწის ამღები იმავე საზოგადოების კაცი უნდა იყოს; თუ ბეგრით უნდა შეიმუშაონ, მაშინ ყრილობა უნდა მოხდეს და სამუშაო განაჩენის შემწეობით განაწილდეს გლეხებს შორის; დ) მუშაობის ზედამხედველად საზოგადოებამ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი კეთილ-საიმედო კაცი. თუ არჩევა ვერ მოახერხეს, მაშინ ზედამხედველი გამგეობამ უნდა დანიშნოს; ე) ზედამხედველის მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს, რომ რიგიანად იმუშაონ, და ამისი ანგარიშიც წარუდგინოს საერობო გამგეობასა და სოფლის საზოგადოებას; ვ) ჯილდოდ ზედამხედველს უნდა მიეცეს 5 პროცენტი საზოგადო ნახნავის წმინდა შემოსავლისა; ზ) საზოგადო, ანუ უფროსი ზედამხედველობა საზოგადო ნახნავებისა, მუშაობისა, პურის გაყიდვისა და ანგარიშის წარმოებისა მამასახლისის ვალია; ჱ) მთელს მაზრაში საერთო ყურის გდება საზოგადო ნახნავებისა და ანგარიშის წარმოებისა უნდა მაზრის გამგეობამ იკისროს; მაზრის გამგეობამვე უნდა უჩვენოს დრო ამა თუ იმ სამუშაოს დაწყებისა და იტვირთოს განგება მოსავლის გაყიდვისა; თ) ძნის დასადგმელადა და გასალეწად საზოგადოებამ შემოღობილი და ან თხრილ შემოვლებული ადგილი უნდა იშოვნოს, ხოლო გალეწილი პური უნდა საზოგადო ბეღელში შეინახოს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, საფრანგეთში ფრეისინეს სამინისტრო გადადგა სამსახურიდგან და ახალ მინისტრ-პრეზიდენტად ლუბეა დანიშნული, თუმცა ფრეისინეს სამხედრო მინისტრის პორტფელი ისევე შერჩა და უწინდელნივე დარჩნენ, ფრეისინეს გარდა, რიბო, როში, დეველლი, რუვიე და ბურჟუა. ეს ამბავი სულ მცირე გარემოებამ გამოიწვია და ყველასათვის მოულოდნელი იყო თურმე. რომ უკეთ შევიძლოთ იმ გარემოების გათვალისწინება, რომელსაც ასეთი ცვლილება მოჰყვა, ცოტა წვრილად უნდა ჩავუკვირდეთ საქმეს.

საქმე ის არის, რომ გიუბარმა, რომელმაც წარსულს სესსიაშივე სთქვა, მე ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების მომხრე ვარო, 6 თებერვლის კრებაზედ წინადადება შეიტანა, პალატამ ფრიად საჭირო და შესანიშნავ საქმედ აღიაროს პროექტი ასოციაციების შესახებ და მის განხილვას სხვა დროსათვის ნუ გადასდებსო. გიუბარის აზრით, ეს პროექტი პასუხია კარდინალების დეკლარაციისაო. ხვალ ვეცდებით, ჩვენს მკითხველებს კარდინალების დეკლარაციის გარემოებაც ვუამბოთ და ეხლა-კი ისევ სამინისტროს გადადგომის ამბავს დავუბრუნდებით.

კასსანიაკი იმ აზრისა იყო, რომ ნუ გადავდებთ მაგ პროექტსაო. „კანონ-პროექტი ასოციაციების შესახებაო, სთქვა მან: სამარცხვინო და პირ-მოთნე წინადადებაა. ამ პროექტით უნდათ რადიკალები დააკმაყოფილონ, მაგრამ მთავრობას ამასთან გულში იმისი იდუმალი იმედიცა აქვს, რომ კანონ-პროექტი პალატის მიერ არ იქმნება შეწყნარებულიო. კათოლიკების ინტერესი მოითხოვს, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამოვააშკარაოთ ეს ორ-პირი წაჯექ-უკუჯექობა; რაც უფრო ჩქარა მოეღება ბოლო ბრძოლას, ამ კანონ-პროექტის მიზეზით გამოწვეულს, მით უკეთესია. ამიტომაც მემარჯვენენი მაგ კანონ-პროექტის გადაუდებლობას მიემხრობიანო“. ფრეისინემ უპასუხა ორივეს: თუ მაგ პროექტის განხილვის საჭიროებას მხოლოდ იმიტომ იცნობთ, რომ ვითომ სხვათა შორის ეგეც უწყობდეს ხელს სახელმწიფოს ეკკლესიისაგან განცალკევებასაო, მთავრობა წინააღმდეგი იქნება, რადგან მთავრობა ამ განცალკევებას არ არის მოწადინებულიო. ხოლო თუ პალატა ასეთს ცვლილებას სასურველად დაინახავს, აწინდელი სამინისტრო ვერ იკისრებს იმის განხორციელებას და იძულებული იქნება სხვას გადასცესო. ამ გვარად, ფრეისინემ პირდაპირ იკითხა, სამინისტროს ენდობით, თუ არაო? ამ სიტყვებმა დიდად აალელვა პალატა. რადიკალმა პიშონმა სთქვა: აუცილებლად საჭიროა, მხნედ გავუმკლავდეთ ეკკლესიას; მთავრობაც უეჭველად ამავე აზრისა იქნება, თორემ ასოციაციის პროექტს არ წამოაყენებდა წინ, პროექტს, რომელიც სწორედ იარაღია ეკკლესიასთან ბრძოლისაო. თუ ეს აზრი არა აქვს პროექტს, მაშასადამე არაფერი აზრი არა ჰქონია და ან, როგორც კასსანიაკი ამბობს, მაგ პროექტით უნდათ მოატყუონ რესპუბლიკელები, რომელნიც სულიერ თავისუფლებისათვის იბრძვიანო. გრაფ დე-მენიც პიშონს მიემხრო და თხოულობდა, ფრეისინემ ფარული აზრი მაგ პროექტისა განგვიმარტოსო. „თუ ეკკლესიასთან ბრძოლასა ხართ მოწადინებული, პირ-ნათლად აღიარეთ ეს სურვილი, ხოლო თუ, პირ-იქით, ის გინდათ, როგორც არა ერთხელ გითქვამთ, რომ მშვიდობიანს, მორიგების პოლიტიკას მისდიოთ, მაშ ეს ბრძოლისა და ჩაგვრის პროექტი რაღა წინ წამოსაყენებელი იყოო?“ ფრეისინემ ხელ-მეორედ დაიწყო ლაპარაკი: მთავრობის მიერ წინადადებული პროექტი მონაზონთა ორდენების წინააღმდეგ არის წარმართული და არა ეკკლესიისა; ეკკლესია ასოციაცია არ არის და ამიტომ ამ კანონს არ ექვემდებარება. საფრანგეთში ეკკლესია სახელმწიფო დაწესებულებაა და მთავრობას იმედი აქვს, რომ კათოლიკენი კარგი რესპუბლიკელები იქნებიან; ასეთივეა სურვილი პაპისაო. ბრისსონმა ამის პასუხად განაცხადა, რომ ფრეისინეს სიტყვებმა უფრო დახლართა და წყვდიადი მოჰფინა საქმეს, ვიდრე წინად იყოო. საჭიროა ვიცოდეთ, მთავრობა რა საგნის მიღწევას არის მოწადინებული მაგ კანონ-პროექტითაო. დერაშელმა სთქვა, რომ ფრეისინეს ნალაპარაკევი, ვითომდა მონაზონთა ორდენსა და ეკკლესიას შორის განსხვავებააო, უპატიოსნო და უსინიდისო მიკიბ-მოკიბვაა სიტყვებისაო. ორდენები უგულმოდგინესი მსახურნი არიან ეკკლესიისა და, ვინც ამათ დაუწყებს დევნას, ის ეკკლესიასაცა სდევნის. ამათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელიაო.

ამას შემდეგ კლემანსომ დაიწყო ლაპარაკი. მოგვყავს ეს სიტყვა ვრცლად: „იმ ბრძოლამ, რომელსაც ჩვენ ვუწევთ სამღვდელოებას, უეჭველად სახელმწიფო უნდა განაცალკეოს ეკკლესიისაგან. ეს იგივე რევოლიუციაა, რევოლიუციის გაგრძელებაა; სწრაფად ივლის ეს საქმე, თუ ნელ-ნელა, მაინც, დღეს იქნება თუ ხვალ, ოდესმე შეგვეძლება კათოლიკეთა ეკკლესიას მივმართოთ და ვუთხრათ: „რა იყავით გუშინ?—ყველაფერი. რა ხართ დღეს?—არაფერი“. როდესაც ვამბობ, არაფერი-მეთქი, მაინც ეკკლესიას ვუტოვებ ყოველსავე იმ უფლებას, რომელსაც კანონმდებლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. საქმე იმაშია, რომ კათოლიკე ეკკლესიის საქმეში ორი გარემოებაა თვალ-საჩინო. ერთი გარემოება კერძოდ სარწმუნოებას შეეხება და ამ მხრივ ჩვენ არც არაფერი უფლება გვაქვს და ვერც ვერასა ვიქთ, რადგან პარლამენტის მიერ განსახილველს საგანს არ შეადგენს. ამას გარდა, მეორე გარემოებაც არის, რომელსაც ყურს ვერავინ მოვუყრუებთ. კათოლიკეთა ეკკლესია უშველებელი საპოლიტიკო დაწესებულებაა. იგი საფრანგეთში თოთხმეტი საუკუნეა, რაც ჰბატონობს; იგი ჰხელმძღვანელობდა და განაგებდა ქვეყანას, ცვლილება იმას შემოჰქონდა, ერთის სიტყვით, რაც უნდოდა, იმასა სჩადიოდა. აი, ამ საპოლიტიკო დაწესებულების წინააღმდეგ ვიბრძვით ჩვენ. რა გვწადიან მერე? განადგურება გვინდა მისი? დიაღ, გვინდა გავანადგუროთ მისი ძლიერება, მხოლოდ საპოლიტიკო-კი. ეს ბრძოლა სამართლიანია და კანონიერი, მხოლოდ ერთის პირობით-კი. ეს პირობა ის არის, რომ კათოლიკეებს რესპუბლიკაში ისეთივე ადგილი უნდა დაეთმოთ, როგორიც სხვა მოქალაქეებსა აქვთ, იმათაც ისეთივე თავისუფლება უნდა მიენიჭოთ და სამართალი იმათაც ისე ჰმფარველობდეს, როგორც საფრანგეთის სხვა მოქალაქეებსა ჰმფარველობს. თუ კიდევ იკითხავთ, რა აზრი აქვს კანონ-პროექტსაო, მოგახსენებთ: გსურთ, თუ არა, სულ ერთია, და ეს პროექტი ერთის ნაბიჯით წინ წასწევს სამოქალაქო უფლებასა და კათოლიკეთა ეკკლესიის უფლებას შორის ატეხილს ბრძოლას. იმ დღეს, რა დღესაც ეს პროექტი კანონად იქცევა, სახელმწიფოს ეკკლესიისაგან განცალკევების საქმე წინ წაიწევს.

პიშონმა განაცხადა, რომ ამ გვარად შევიწყნაროთ მაგ პროექტის გადაუდებლობა: „რადგან პალატა ცხადად ჰხედავს საჭიროებას კლერიკალთა დასთან ბრძოლისას, ასოციაციების კანონ-პროექტის საჩქაროდ განხილვაც საჭიროდ იცნოო“. ტრულიომ სულ სხვა რედაქცია დაასახელა: „რადგან პალატას უნდა განაგრძოს სარესპუბლიკო პოლიტიკა და მხნედ დაიცვას სახელმწიფოს უფლებანი, ამიტომ საჭიროდ მიაჩნია“ და სხ. ფრეისინემ ტრულიოს რედაქცია ამჯობინა პიშონსას. ამისდა მიუხედავად, ტრულიოს რედაქცია პალატამ 304 ხმის უმეტესობით უარჰყო წინააღმდეგ 212-სა. ფრეისინემ მაშინვე ხელით ანიშნა მინისტრებს და ყველანი ხმა-ამოუღებლად გავიდნენ დარბაზიდგან. შემდეგ პიშონის რედაქციას უყარეს კენჭი და პალატამ არც ეს შეიწყნარა 286 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 246-სა.

# წვრილი ამბავი

ამ უკანასკნელს დროს საფრანგეთისა და ისპანიაში ძლიერ გახშირდა დუელები უმაღლეს წოდების ქალთა შორის. მაგალითად, ამას წინად მადრიდში ერთმა უმაღლეს წოდების ქალმა თავისი მეტოქე გამოიწვია ხმალში და მძიმედ დასჭრა. მეორე დუელი ქალებისა კიდევ ამ მოკლე ხანში პარიჟს მოხდა. გრაფინიამ ნესტლეემ მარკიზა პოლიაკა გამოიწვია ხმალში. მარკიზამ სასიკვდილოდ გულში დასჭრა თავისი მეტოქე გრაფინია. „Comedie Française“ თეატრის არტისტ ქალს მარტენს ისე შეჰყვარებია დუელები, რომ ვაჟურს ტანისამოსს იცვამს ხოლმე, მამაკაცებს ნიჩბს აუტევს და ხმალში იწვევს. ქ-ნს მარტენს ბევრჯელ გამოუთსოვია თურმე ხმალში მამაკაცები და მუდამ გამარჯვებული დარჩენილა.

— ამას წინად პარიჟის სამეცნიერო აკადემიაში მიუყვანია მათემატიკის პროფესორს დარბუს ახალგაზრდა, 24 წლის გლეხი, ჟაკ ინოდი, რომელსაც შესანიშნავი, უცნაური ნიჭი ჰქონია მათემატიკისა. პროფესორები შეიკრიბნენ თურმე აკადემიაში ამ კაცის საკვირველის ნიჭის გამოსაცდელად. პროფესორმა დარბუმ დაფაზედ ორი რიცხვი დასწერა:

4.123.547.238.445,523.841.

1.248.126.138.234.128.210.

ჟაკ ინოდი ისე იდგა ოთახში, რომ დაფაზედ დაწერილს ვერა ხედავდა. პროფესორმა დარბუმ წაუკითხა ეს ორი უშველებელი რიცხვი და ჰკითხა: პირველს რიცხვს რომ მეორე გამოვაკლოთ, რამდენი დარჩებაო. ინოდიმ ეს რიცხვები განიმეორა და იმ წამსვე სწორე პასუხი მისცა გაკვირვებულს პროფესორს. მერე ჰკითხეს: ისეთი რიცხვი გვითხარი, რომ იმ რიცხვის კვადრატისა და კუბის ჯამი ეთანასწორებოდეს 3,600-საო. ინოდიმ იმ წამსვე უპასუხა: „თხუთმეტი“ო. ამას გარდა, ინოდი საშინელის სისწრაფით ზეპირად აერთებდა და ამრავლებდა უშველებელს რიცხვებს. მხოლოდ ერთს ამოცანას მოანდომა ორი წამი, თორემ დანარჩენებს თვალის დახამხამების უმალ გამოიცნობდა ხოლმე.

ისეთი რიცხვი გვითხარი, რომელშიაც ოთხი ნიშანი იყოს, ნიშნების ჯამი იყოს 25, ასეულებისა და ათასეულების ნიშნების ჯამი ეთანასწორებოდეს ათეულების ნიშანს, ათასეულების და ათეულების ნიშნების ჯამი-კი—ერთეულისას, ამასთან ის რიცხვი რომ უკუღმა წავიკითხოთ, 8,082-ით მეტი გამოდგეს წაღმა წაკითხულზედაო. ინოდიმ სწორედ ორი წამი იფიქრა და განცვიფრებულს აკადემიელებს გამოუცხადა: ეგ რიცხვი 1789 არისო. აკადემიელმა ბერტრანმა ჰკითხა: 1802 წლის 11 მარტს რა დღე იყოო? ინოდიმ სამი-ოთხის წუთის შემდეგ უპასუხა: „ორშაბათიო“. გასინჯეს კალენდარი და მართალი აღმოჩნდა. ასეთისავე სისწრაფით ინოდიმ გამოიანგარიშა, 1802 წლის 11 მარტიდგან რამდენს დღეს, საათს, წამსა და წუთს გაუვლია 1892 წლის 1 თებერვლამდე. სამეცნიერო აკადემიის პროფესორებმა ამავე კრებაზედ გადასწყვიტეს, ყოველგვარი შემწეობა აღმოვუჩინოთ ამ საოცარის ნიჭის პატრონს და კეთილსა და სასარგებლო გზაზედ დავაყენოთო.

— სიამის მეფის სასახლეში ერთი შუშაბანდის ოთახაა თურმე, რომელიც უშველებელს წყლის აუზშია მოთავსებული. ოთახს 4 საჟენი სიმაღლე აქვს და ორი საჟენი სიგანე. ზაფხულში, სიცხის დროს, სიამის მფლობელი ამ ოთახში შებძანდება ხოლმე, აუზი ცივის წყლით ივსება და ოთახში კარგადა გრილა; ეს საგრილობელი ერთს ჩინელს ხუროთ-მოძღვარს გაუკეთებია სიამის მეფისთვის, რომელიც ძლიერ ნაზის აგებულებისაა თურმე და სიცხეს ვერ იტანს.

# წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ „ივერია“-ში ადგილი დაუთმოთ და დაჰბეჭდოთ ეს წერილი. ჩემის აზრით, დიდსაა ყურადღებისა ჩვენს მოძმე ქართველ მაჰმადიანებში ქართულის წიგნების გავრცელების საქმე. ვგონებ დროა, რომ ამდენის ხნით ჩვენგან დაშორებულს ქართველს მაჰმადიანებს მეგობრობა აღმოვუჩინოთ და ისეთის წიგნების ბეჭდვა დავიწყოთ, რომელიც ადვილი გასაგებიც იქნება, მცირეოდენს სარგებლობასაც მოუტანს და მალეც გავრცელდება მათ შორის.

ამ ჟამად, მე ჩემად, თუმცა დაბეჭდვა-კი მიჭირს შეუძლებლობის გამო, ქართველ მაჰმადიანთა შორის გასავრცელებლად მომზადებული მაქვს შემდეგი წიგნები და ვაპირობ შევუდგე კიდეც მათს ბეჭდვას:

1) სახალხო ლექსები, ქართულის ხელთნაწერის და ნაბეჭდის ანბანით, თქმული ხუსეინ საბაზას-მიერ. ქართველ მაჰმადიანებში სახალხო მელექსეები ბევრნი არიან, მაგრამ ხუსეინ საბაზი ყველაზე მაღლა სდგას. ამისი ლექსი „დაკარგული ბაზა“ ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებმა ზეპირად იციან. თვითონ ეს მელექსე სცხოვრობს ბათუმის ოლქის სოფ. აჭყვის თავში. იმისი ლექსები მალე მოიფინება ხალხში. უნდა დაიბეჭდოს 3000 წიგნი.

2) ქალ-ვაჟიანი, სხვა-და-სხვა საჭირო ცნობათა დართვით და ანბანის ზედ-დამატებით, 3000 წიგნი. სადაც-კი წაიკითხეს ეს წიგნი, ყველგან აღტაცებაში მოდიოდნენ და მოხუცებულნიც-კი ჩასცქეროდნენ ამ წიგნს შიგ, იქნება რამე გავიგოთო. სოფ. სამებას ქართველი მაჰმადიანები ამ წიგნის მოსმენით დიდად სიამოვნებდნენ და სულ „ალას“ იძახოდნენ.

3) თამარ მეფე სურათით და ანბანით, 3000 წიგნი. შედგენილია იმათებურის ამბებისა და სახალხო ლექსების ჩართვით.

4) არსენას ლექსი, ზედ დართვით რამდენისამე იმათებურის სახალხო ლექსისა, ანბანისა და სურათისა, 3000 წიგნი. „არსენას ლექსი“ მათში აქა-იქ გავრცელებულია. დიდის ქებით მოიხსენებენ არსენას, ჩვენკენ რომ ეცხოვრა, ოსმალში ფაშობას მისცემდნენო.

5) წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, სურათით, 3000 წიგნი. ბოლოში ჩართული აქვს მცირე საკალენდარო ცნობანი.

6) ალექსიანი, ანბანით, 3000 წიგნი. ეს წიგნი ძლიერ მოსწონთ, ნამეტურ სტამბოლის შესახების ლაპარაკის გამო. ბოლოში ჩართული აქვს მცირეოდენი იქაურთათვის საინტერესო ცნობანი.

7) მაჰმადის-ცხოვრება ანბანით და სხვა-და-სხვა საჭირო სამკურნალო ცნობათა ზედ-დართვით, 3000 წიგნი. ამ წიგნის დაბეჭდვა ერთმა პატივცემულმა ქართველმა აღმითქვა თავისის ხარჯით.

8) სამცხე საათაბაგოს დაპყრობის ისტორია, 3000 წიგნი. ამაში მოკლედ და მდაბიურად აწერილია: ოსმალოსაგან სამცხეს დაპყრობა და ქართველების გათათრება. „ათაბეგების“ მოკლე ისტორია და განსაკუთრებით ამათის გვარის, ჯაყელის, უკანასკნელ წარმომადგენელ ბექა ჯაყელისა, რომელმაც გათათრების გამო სახელი და გვარიც გამოიცვალა, დაჰკარგა ჯაყელობა და დაირქვა საფარფაშა. დაწერილია ისე, რომ ქართველ-მაჰმადიანებს არ ეუცხოვება. ამ წიგნით კარგად შეიტყობენ იქაურები თავიანთ თავ-გადასავალის ამბავს.

9) ქართველ მაჰმადიანთ ლოცვები, უკვე დაბეჭდილია 2000 წიგნი.

ზემოხსენებული წიგნები რომ დაიბეჭდოს და მათში დარიგდეს უსასყიდლოდ, იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართული წერა-კითხვა იქ ფეხს მალე აიდგამს. სულ რამდენისამე წლის განმავლობაში იმათშიაც ისევე მოიფინება ქართული წიგნები, როგორც 1873 წლის შემდეგ ქართლსა, კახეთსა და იმერეთში მოიფინა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სწორედ ასე მოხდება. ამისი ნიშნები ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ შარშან. რომ ადვილია მათ შორის ქართულის წერა-კითხვის გავრცელება, ამას ჰმოწმობენ: დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და პ. უმიკაშვილი.

ზემოხსენებულს წიგნებში ორი, სახელდობრ: „ქალ-ვაჟიანი“ და „ალექსიანი“ მაინცა და მაინც ვრცელი წიგნები, მაგრამ იქ დიდად მოსწონთ. იშვიათია ჯერ-ჯერობით ისეთი ქართული წიგნი, რომელიც ისე მოსწონდეთ, როგორც ზემოხსენებული ზღაპრები მოსწონთ. ისეთის წიგნების ბეჭდვა-კი, რომელსაც იქ ხელში არავინ აიღებს, რა სარგებლობას მოუტანს წერა-კითხვის გავრცელების საქმეს.

ზემოხსენებული წიგნები კავკასიის საცენზურო კომიტეტისაგან უკვე ნება დართულია და, როგორც-კი გარემოება ნებას მოგვცემს, მაშინვე შევუდგებით მათს სათითაოდ ბეჭდვას.

დასასრულ, კიდევ გავიმეორებ, დროა ქართველს მაჰმადიანებში ქართულის წიგნების გავრცელების საქმეს ყურადღება მიექცეოდ. ჩვენი მეზობლებიც ამას ნატრობდნენ და ბევრნი დღესაც ამას ჰნატრობენ ჩვენში. თუ ეხლავე არ მოვკიდეთ მტკიცედ ხელი ამ საქმეს, შემდეგ გვიანღა იქნება. იმათშიაც ისე ამოვარდება ქართული ენა და წიგნები, როგორც ჯავახეთში მოისპო და ამოიფხვრა ამ საუკუნის განმავლობაში, ესე იგი 1817 წლიდამ, მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა საქართველოს შემოუერთდა. იქაურებმა ქართული ენა თითქმის სულ დაივიწყეს და დღეს ბევრს სოფელში მხოლოდ თათრულს ენაზედ ლაპარაკობენ. ბათუმის მხარეშიაც ესევე მოხდება, თუ დაუდევრად მოვექცევით საქმეს.

რადგან სკოლების საქმეს ვერ ვსწვდებით, ამას მაინც მოვკიდოთ ხელი და მწიგნობრობის გავრცელებას მაინც მივსცეთ დასაწყისი. ამ საქმეს მით უფრო ადვილად შევიძლებთ, რომ ქართველს მაჰმადიანებში ისე სოფელს ვერ ნახავთ, ორმა ან სამმა ქართული კითხვა არ იცოდეს.

ზემოხსენებული წიგნები თუ დავბეჭდე და გარემოებამაც ხელი შემიწყო, წელსვე ივნისში გავემგზავრები იქით, დავივლი მთელს ქართველს მაჰმადიანებს ოსმალეთის საზღვრამდის და, როგორც დავხედავ გარემოებას, ვეცდები ისე გავუწიო დამარება ამ დიდად სამადლო და სასარგებლო საქმეს. თუ ვინმე შეადგენს რასმე და დაჰბეჭდავს მაჰმადიანთათვის სახალისო და ადვილად საკითხავს წიგნს, დიდის მადლობით მივიღებ იმასაც მათ შორის დასარიგებლად და გასავრცელებლად. საკუთრად მარტო ჩვენი ღონე ამ დიდს საქმეში წვეთია ზღვაში და ამიტომ საერთო გარჯა და გულ-მოდგინებაა საჭირო.

ზ. ჭიჭინაძე

## დეპეშა

19 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და შეიწყნარა დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიერ საგეოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობის მიღება.

„Новости“ იუწყება, სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა ნათესებისა და სათიბების გაძოვებისაგან დაცვის დებულების პროექტი.

გაზეთები იუწყებიან გაგონილს ამბავს, როცა ახალს საქალაქო დებულებას შემოიღებენ, გარდა სატახტო ქალაქებისა, სხვაგან ქალაქის მოურავები მთავრობამ უნდა დანიშნოს, ხოლო მათი ამხანაგები კვლავინდებურად უნდა აირჩიონ ხოლმეო.

**ათინა.** მეფემ წინადადება მისცა დელიანისის სამინისტროს, სამსახურიდგან გადადექითო. მინისტრებმა უპასუხეს, სამსახურიდგან ჩვენით არ გადავდგებით, რადგან პალატის მომეტებული ნაწილი ჩვენი მოახრეაო, მაგრამ, როგორც მეფეს, შეგიძლიანთ დაგვითხოვოთო. მეთაურმა საშუალო დასისამ კონსტანტინოპულოსმა შეადგინა ახალი კაბინეტი. დელიანისმა განაცხადა, მე სრულიად არა მწადიან ჩემით სამსახურისთვის თავის დანებებაო. პალატამ ნდობა გამოუცხადა დელიანისის სამინისტროს. პალატის წინ დიდი დემონსტრაცია გაიმართა დელიანისისთვის. მეფის სასახლეს ცხენოსანი ჯარი იცავს.

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაიყი-დისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 05 | 8, 08 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები | 161 | $161^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1, 17 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 237 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | $226^1/_4$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | $198^1/_4$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | $102^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $102^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99, 12 | — ,, | — ,, |

**პეტერბურგის ბირჟის უწყება**
11-ს თებერვალს
გირაოს ფურცელნი:

| ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა: | მყიდვე-ლი. | გამყი-დველი. | გაიყი-და. |
|---|---|---|---|
| 6% | $102^1/_4$ | — | — |
| 5% | $99^3/_8$ | — | $99^7/_8$ |
| ქუთაისისა: | | | |
| 6% | $102^1/_4$ | — | — |
| 5% | $99^1/_8$ | $99^1/_2$ | — |
| ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. | | | |
| 5% | $97^3/_4$ | $98^1/_4$ | — |

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ქართულ წიგნების ამხანაგობის მაღაზიაში და წერა-კითხვის კანცელარიაში:
**სამშობლო ქვეყნის**
**მოღვაწეები**
**დიმიტრი ბაქრაძე**
ფასი 20 კაპ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ 25 ამა თებერვალს, დღისით 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება ვაჭრობა, სამაგიეროდ იმისა, რომ 8 თებერვალს არ მოხდა იჯარით გაცემა ქუჩების მოკირწყვლისა 1892 წელს. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ ყოველ დღე, გარდა კვირისა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—1)

უმდაბლესად ვთხოვ პატივცემულს საზოგადოებას, ჰაშნიკად და საცდელად მაინც იხმიოს ჩემი
**კახური ღვინო,**
რომელიც ახლად გამართულს საწყობშია, ვარანცოვის წყლის პირის (ნაბერეჟნი) ქუჩაზე, საკუთარს სახლში. ჩემი ღვინოები ტფილისის სარდაფების ღვინოებზე უკეთესია და იაფიც. გთხოვთ შეადაროთ ჩემი ღვინო ბოთლი 15 კ. სხვის ღვინის ბოთ. 25 კ. და აგრეთვე ჩემი სხვა ფასიანი ღვინოებიც 60 კ-დე ბოთლი შეიძლება სხვებისაზე უფრო იაფად იყიდოთ.
ფარნაოზ ისარლოვი

ქერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონითა: ფარალიჩებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—3)

**გამოვიდა და ისყიდება**
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი
**ზ ა დ ი გ ი**
მოთხრობა ვოლტერისა
გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ
ფასი 20 კაპ.
იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამ თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

**ახალი სტამბა**
მ. შარაძისა ტფილისში
ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,
იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.
სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.
ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.
**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე
**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

**ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა | 1 | 20 |
| იგივე, ყდით | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ალნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| იგივე, ყდით | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა მელანიასი (პსევდონიმი) | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ | „ | 45 |
| სახალხო კალენდარი მისივე | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე | „ | 40 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| ამპარტავანი გიორგი. თარგ. ილ. ფერაძისა | „ | 5 |
| კრილოვის არაკები, აკაკისა | „ | 30 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი | „ | 20 |
| „ცდა“ III წ. | „ | 50 |
| „სამი კომედია“ ავქ. ცაგარლისა | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა | „ | 15 |
| სამი ცელქი, შ. მღვიმელისა | „ | 20 |
| ძუნწი, მისივე | „ | 13 |